№ 276

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 276

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## „ივერია"

გამოვა **1901** წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

**გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:**

**ტ ფ ი ლ ი ს ი,**

**„ივერიის" რედაქცია,**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ და პირ.

**ტელეფონი № 227.**

სატელეგრაფო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს 3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 21 დეკემბერს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **ქ-ნ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ-ნ ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

**ბ. ნ. შათირიშვილის საბენეფისოდ**

წარმოდგენილი იქნება **ახალი პიესა**

## კარდინალი რიშელიე

დრამა 5 მოქმედ. თარგ. ალექსი-მესხიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, მდივანი, გარელი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, შათირიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ურუშაძე, იმედაშვილი, ავალიანი, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

## ი ყ ი დ ე ბ ა

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიასა და „ივერიის" რედაქციაში

## „სომეხთა მეცნიერნი და ჭკვათა ლალადი"

წერილი ილია ჭავჭავაძისა, მეორედ გამოცემული „ივერიის" რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა.

ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჰლირს წიგნი ექვს შაურად.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი, 8–10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკოვიჩი,** საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ე ქ ი მ ი

## ნიკო ერისთავი,

ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს **ნერვებისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ** (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (10—261—4)

### მთავრობის განკარგულებანი

ე ბ ო ძ ა თ: მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარ კონვოის ლე ბ გვარდიის 1-ლ ყუბანის ყაზახთა რაზმის ხორუნჟსს თავადს დ ა დ ი ა ნ ს—სოტნიკობა, კავკასიის მსროლელთა ბატალიონის შტაბს-კაპიტნებს ი ა შ ვ ი ლ ს და ფავლენიშვილს, თავ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს ა და თავ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე ს—კაპიტნობა; პორუჩიკებს ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს ა, თავ. წ ე რ ე თ ე ლ ს ა, ი მ ნ ა ძ ე ს ა და თავ. თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე ს—შტაბს-კაპიტნობა; გუბერნსკი სეკრეტრობა პალატის კანცელარიის მოხელედ ნამყოფს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 17 დეკემბერს, ნიკოლოოზის ტაძარში წირვა და პარაკლისი იქმნა გარდახდილი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის განკურნებისა გამო.

*** კავკასიის მკურნალთა მეორე კრება, შინაგან საქმეთა მინისტრის ნება-რთვით მომავალის წლის აპრილში-კი არ შესდგება, როგორც განზრახული იყო, არამედ იმავე წლის სექტემბრის გასულს.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ წარუდგინა უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად მომავალ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის დებულების და გამგე კომიტეტის პროექტი. გამგე კომიტეტს შეადგენენ: გამოფენის საპატიო თავმჯდომარე კავკასიის მთავარ-მართებელი, კომიტეტის თავმჯდომარე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი, კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი, საპატიო წევრები; ნამდვილი წევრები, რომელნიც დანიშნულ იქმნებიან შემდეგ დაწესებულებათაგან: სამეურნეო საზოგადოებისაგან—3 წევრი, კავკასიის მთავარ-მართებლისაგან, სამხედრო და სასულიერო უწყებათაგან თითო წევრი, საბალოსნო საზოგადოებისაგან—3; თითო წევრი: სამოსწავლო და საუფლისწულო უწყებათაგან, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან, მისის რწმუნებულისაგან, კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მეთევზეობის მრეწველთა გამგეობისაგან; ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისაგან—ორი, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან—თითო-თითო, ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტისაგან—ორი, თითო წევრი: სამთო გამგეობისაგან, ნავთისა და შავი-ქვის მწარმოებელთა კრებათაგან, საქონლის მომშენებელ და მონადირეთა საზოგადოებათაგან. გამოფენის კომისარი და კომისარის ამხანაგი ამორჩეულ იქმნებიან გამგე კომიტეტის მიერ. გამოფენის ხაზინადრად დანიშნულ იქნება სამეურნეო საზოგადოების ხაზინადარი, ხოლო გამგე კომიტეტის მდივანს ამოირჩევს თვით კომიტეტი. ამას გარდა კომიტეტი აარჩევს ცალკე განყოფილებათა გამგეობას.

*** როგორც უთუოდ ყველამ უწყის, მდინარეების წყალდიდობა ამიერ-კავკასიაში დიდ ზარალს აყენებს სოფლის მცხოვრებთა ნათესობას. მთავრობა ეს რამდენიმე ხანია შეუდგა ზრუნვას მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად. ამ ჟამად სათანადო მთავრობა ცნობებსა ჰკრებავს იმის შესახებ, თუ ამ უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში რამდენად დაზარალდნენ სოფლის მცხოვრებნი წყალდიდობისაგან, რა ზომები იქმნა მიღებული ზარალის ასაცილებლად, რა ფული დაიხარჯა მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად და სხვა.

*** დღემდე ტფილისის სააბრეშუმო სადგურისათვის გამოსაკვლევად წარუდგენიათ 110,000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. ეს თესლი ოსმალეთსა და ესპანიიდგანაა მოტანილი.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობაში, ხვალ, 21 დეკემბერს, მოხდება სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს: 1) მოხსენება ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორისა, საერო განათლების მინისტრის მოწერილობის შესახებ, რომლითაც სახელოსნო სასწავლებელი უნდა გადაკეთებულ იქმნეს და, სხვათა შორის, სკოლაში უნდა მოისპოს ბავშების ეროვნების და მიხედვით კლასების დაყოფვა; 2) მოხსენება ტფილისში სამხატვრო საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ; 3) თხოვნა ავლაბრის დედათა სკოლის ქართულის ენის მასწავლებელ ქალის კნ. თარხან-მოურავის ფულით შემწეობის აღმოჩენის შესახებ და 4) მცირე კომისიის მოხსენება ტფილისში პუშკინის სახელობაზედ სახალხო წიგნთ საცავ-სამკითხველოს დაარსების გამო და სხვანი.

*** ამ დღეებში ტფილისის ქალაქის სასწავლებლების გამგე-კომისიას სოლოლაკის სასწავლებლის გამგემ ბ-ნმა ფირუმოვმა განცხადება წარუდგინა და სთხოვს შემოიღონ ქალაქის პირველ დაწყებითს სასწავლებლებში გიმნასტიკა.

*** ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში ორშაბათს 18 დეკემბერს, საჯარო ვაჭრობა მოხდა ტფილისის ქალაქის იმ მამულებისა, რომლებზედაც დარჩენილი გარდასახადი დროზედ არ შეუტანიათ ბანკში. გასასყიდად დანიშნულ 12 ქალაქის მამულიდგან გაიყიდა 9 მამული სულ 57,967 მან., ხოლო 3 მამულის საჯაროდ გასყიდვის საქმე გადაიდო დღეს, 20 დეკემბრისათვის. დღეისთვისვე აგრეთვე დანიშნულია გასასყიდად ტფილისის გარეთ მდებარე ბანკში დაგირავებული მამულები.

*** 1902 წელს სრულდება 30 წელიწადი, რაც ლაზარევის აღმოსავლეთის ენათა ინტიტუტის სპეციალური კლასები არსებობს. ამის გამო ლაზარევის ინსტიტუტის საბჭო სთხოვს ყველას, ვისაც ამ სპეციალურ კლასებში სწავლა დაუმთავრებია, მიაწოდონ შემდეგი ცნობები: 1) სახელი და გვარი; 2) როდის გაათავა სწავლა; 3) რა თანამდებობას ასრულებს, ანუ რა საქმეს მისდევს. ეს ცნობები შევა სპეციალურ კლასების ისტორიაში, რომელსაც დასაბეჭდად ამზადებენ.

*** განზრახვა აქვთ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში ვალობის მასწავლებელთა რიცხვი გაამრავლონ და ამ მასწავლებელთ დაავალონ ეკლესიაში მგალობელ მოსწავლეთა გუნდის ლოტბარობა. („ახ. მიმ.").

*** განზრახვა აქვთ კადეტთა კორპუსების მოსწავლეებს ნება მისცენ შეღავათით მგზავრობისა რკინის გზის მე II კლასით.

*** როგორც „ცნ. ფურ.“ გადმოგვცემს, მომავალის წლის იანვარში სახაზინო თეატრში გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოსადგენად ამოურჩევიათ „მზის დაბნელება“ და ერთ მოქმედებიანი რუსული პიესა. წარმოდგენის შემდეგ ცოცხალი სურათები იქმნება დადგმული. მოთავეობა უკისრნია კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისას. სასურველია ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწროს, ამისთვის-კი გამგენი ურიგოს არ იზამენ, თუ სხვა უფრო საინტერესო პიესას ამოირჩევენ, ვიდრე „მზის დაბნელებაა“.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ბ ნ ალექსი-მესხიშვილისაგან მიუღია ქუთაისში შეკრებილი 44 მანეთი განსვენებულის კნ. ზ. ავალიშვილის საფლავზედ ძეგლის ასაგებად.

*** ოლგას სახებით ინსტიტუტის მკურნალთა შესანახად ახალის პროექტით, 12,600 მან. სესხსა თხოულობენ. ეს პროექტი წარდგენილია მთავრობასთან დასამტკიცებლად.

*** დ. ლაგოდეხი, (სიღნაღის მაზრა). 12 დეკემბერს, ლაგოდეხიდგან სულ ერთის ვერსის მანძილზედ, მიხაილოვკასა და ლაგოდეხს შუა საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ქ. სიღნაღის მცხოვრებელი ვანო ედიგაროვი — ქ. სიღნაღიდგან მომავალი ლაგოდეხში „ტაჩკით“; ალაზნის ხიდთან რომ მოსულა, ოთხი ფეხით მომავალი ლეკი უნახავს. რომლებსაც უთხოვნიათ ლაგოდეხამდის წაგვიყვანეო. მეტაჩკეც დასთანხმებია, ჩაუსხამს ლეკები ტაჩკაში და წამოუყვანია. სოფ. მიხაილოვკაში რომ მოსულან, შებინდებულა; მეტაჩკეს სოფლის დუქანთან დაუყენებია ტაჩკა და არყის დასალევად ტაჩკიდგან ჩამომხტარა და იმათთვისაც უთხოვნია, ჩამოხტით არაყი დავლიოთო, მაგრამ ლეკებს უარი უთქვამთ. მეტაჩკე მარტო შესულა დუქანში და მედუქნისთვის უთქვამს, ოთხი არაყი დაასხი, გაიტანე და ტაჩკაში მსხდომს ლეკებს დაალევინეო; შემდეგ თითონაც ერთი ჭიქა ღვინო დაულევია შემდეგ ამისა, გზა ისევ ერთად განუგრძიათ. სამის ვერსის მანძილი რომ გაუვლიათ, ერთს იმათგანს ამოუღია ხანჯალი და შიგ წელში ჩაუცია; დარტყმაზედ მეტაჩკე ძირს გადმომხტარა და გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ბოროტ-განმზრახველნი დასწევიან, დაუჭრიათ და რამდენსამე ადგილას სასიკვდილოდ დაუჭრიათ; შემდეგ წაქცეულისათვის ყელი გამოუჭრიათ და მოკლული მსხვერპლი ტყის პირად შეუთრევიათ. ლეკებს თან წაუღიათ ოთხასი მანეთი ფული

გამოძიება სწარმოებს. ბოროტ-მოქმედნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** დ. ოჩამჩირე. 13 დეკემბერს, დღისით, ვიღაც ბოროტმა კაცმა მოჰკლა ს. მორკვილის შარაგზაზედ (ოჩამჩირის ახლოს) მაჭუტაძეს და ჩაჩავას ხეტყის საწყობის მმართველი ანდრია ჩაჩავა. როგორც ამბობენ, მკვლელობა შურისძიებით მომხდარა. ჩაჩავას დეპეშა მოსვლია სამეგრელოდგან, ცოლი იბარებდა შვილის ავადმყოფობისა გამო. უდანაშაულო მსხვერპლი გამოსულა თავისს ბინიდგან დილით, რომ იმავე დღეს ოჩამჩირეში ხომალდისთვის მოესწრო. ალბათ ბოროტი კაცი უდარაჯებდა და გზაზე შეხვედრია. ორჯერ უსროლია რევოლვერი — ერთი ტყვია მარჯვენა ძუძუზე მოხვედრია და მერე ყელში. თუმცა მკვლელობა შარა-გზაზე მოხდა დღისით, მაგრამ კაცს არ შეუნიშნავს, ისე გამქრალა მკვლელი — თან წაუყვანია ჩაჩავას ცხენი, აგრეთვე წაუღია სარტყელი, ქუდი, ნაბადი და რაც რომ ჯიბეში ჰქონია. ჩაჩავა უწყინარი და საყვარელი ყმაწვილი კაცი იყო. მას დარჩა ახალგაზდა ცოლი და რამდენიმე შვილი.

—

**ყაჩაღობის გასწორება** როგორც ს. კულაშიდგან ნამდვილად გვატყობინებენ, ებრაელის ისხაკა ელაშვილის სახლის გაძარცვის დროს ყაჩაღებს წაუღიათ 1588 მან ფული და 400 მან. ღირებული ნივთები. ჩვენ-კი შედარებით, მცირე ზარალი გვქონდა აღნიშნული, სულ ფულად 90 მან. და 500 მან ნივთები, ალბად იმის გამო, რომ კორრესპონდენტმა უცბად ნამდვილის ზარალის რაოდენობა ვერ შეიტყო.

## ქალაქის საბჭო

18 დეკემბერი

სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზედ ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც აუწყა კრებას ქალაქის ხმოსნად ნამყოფის თავ. ბებუთაშვილის გარდაცვალება. საბჭომ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას შემდეგ განხილულ იქმნა მოხსენება თავ. სუმბათაშვილისა, რომელიც სთხოვს გამგეობას, თავისს სახლის დასაფასებელ გარდასახადისაგან განთავისუფლებას. გამგეობას დაუდგენია, გარდახდეს თავ. სუმბათაშვილს დარჩენილი გარდასახადი, ხოლო გამგეობის ასეთი დადგენილება ტფილისის ქალაქის საქმეთა საკრებულოს გაუუქმებია. საბჭომ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, განასაჩივროს საკრებულოს დადგენილება უმართებულესს სენატში. საბჭოს მოხსენდა აგრეთვე საერო განათლების სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი გადაკეთდეს აწ არსებულ სახელოსნო სასწავლებლების დაგვარად, მოისპოს მოსწავლეების ეროვნებად დაყოფა და სასწავლებელში მიღების დროს მოეთხოვოს მოსწავლეებს პირველ დაწყებით სასწავლებლის კურსის ცოდნა. საბჭომ დაადგინა, სამინისტროს წინადადება გარდაეცეს განსახილველად სასწავლებელთა კომისიას.

შემდეგ მოხდა სავაჭრო დეპუტატების არჩევანები კენჭის ყრით. არჩეულ იქმნენ დეპუტატებად ბ ნნი: ზურაბოვი, სტეფანოვი, აბაზოვი, ამირალოვი და ყარიბოვი, ხოლო მათ კანდიდატებად: ჯუმუხაძე და მათიაშვილი. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ტფილისის გუბერნატორის წინადადებამ საადრესო სტოლის დაარსებისა და ეზოს დარაჯების შემოღების შესახებ. ზოგიერთმა ხმოსნებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ სახლის პატრონები უიმისოდაც შევიწროებულნი არიან და ეზოს დარაჯების სავალდებულო შემოღება უარესად გაუჭირებს საქმესაო. საბჭომ არ შეიწყნარა ბ-ნის გუბერნატორის წინადადება. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება ბ ნ კანდურალოვისა, რომელიც თხოულობდა კვლავ ხმოსნად მიეღოთ, რადგანაც ახლა ქალაქის დამფასებლად არა ვარო. (ბ-ნმა კანდურალოვმა ხმოსნობას თავი დაანება, როცა იგი ქალაქის დამფასებლად ამორჩეულ იქმნა). საბჭომ შეიწყნარა კანდურალოვის თხოვნა. დასასრულ, საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება იმის შესახებ, რომ ბ-ნნი ჯანიაშვილი, კარტაშევი და სტეფანოვი სამსახურის აღსრულების დროს დანაშაულობის ჩადენის გამო პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

მთელი კაპის ახალშენი აჯანყებულია. მარტოდ ეს გარემოებაც საკმარისია, რომ დღევანდელი საქმის მდგომარეობა თვალწინ სავსებით წარმოგვიდგეს. როგორც ლონდონიდგან იუწყებიან, ბურები ამ ჟამად სხვა და-სხვა ადგილას თურმე ჰმოქმედებენ. ბურებმა მოქმედება რკინის გზის ლიანდაგის დაქცევით დაიწყესო. დასავლეთისაკენ მდგომმა რაზმებმა, რომელთაც უმთავრესი ბინა ფილიპსტუნში აქვთ, ერთი ნაწილი ჯარისა გოუტსტოუნის რკინის გზის სადგურისაკენ გაჰგზავნეს, აქ არხზედ გადებული ხიდი ააფეთქეს და ტელეგრაფის მავთულები დაწყვიტეს. აღმოსავლეთით რომედ-იუნკინთან, სადაც სტორმბერგში მიმავალი გზა მთავარს ლიანდაგსა სცილდება, რკინის გზის ლიანდაგი 75 საჟენის მანძილზედ დაქცეულია. ინგლისელები ამბობენ, რომ ლიანდაგი ქარიშხალმა დააზიანაო; მაგრამ, ტყუილია; ეჭვი არ არის, ლიანდაგს ზურგის მთებში გახიზნული ბურები დააქცევდნენ. უფრო დაზედ მეტად საშიში კი ის არის, რომ ამბოხება კაპის ახალშენში დღითი-დღე ვრცელდება. რასაკვირველია, ახლა გაუგებარი არავისთვის აღარ არის ის გარემოება, რომ საზღვრის პირად მდებარე ოლქებში, სადაც ბურები პირველად გადავიდნენ, სამხედრო წესი იქმნა გამოცხადებული მალე იგივე წესი სტელენბოსის, ვორჩესტერისა და ველლინგტონის ოლქებშიაც იქმნა გამოცხადებული. ქ. ი. კაპშტადტის მიდამოებს გარემო. კაპის ახალშენში გადასულს ბურების სამს რაზმს ჰერცოგი, ფილიპე ბოტა და გასბრუკი უფროსობენ. მაგრამ ზუტპანსდრიფტთან ორანჟეს მდინარეზედ ახლა მეოთხე რაზმიც გადავიდა, რომ ფილიპსტუნში მყოფს ბურებს მიეშველებოდა. ბურები ემუქრებიან აგრეთვე კიმბერლეის, რომელიც ომის დაწყებისას რამდენსამე თვეს ბურების-მიერ ალყა შემორტყმული იყო. ქალაქთან მისვლა-მოსვლა ძლიერ გაჭირვებულია. დასასრულ, თითქმის მთელი ბეჩუანალენდი ბურების ხელშია.

— როგორც ბლოდროს მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ბურების აზრი ის არის თურმე, რომ რაც შეიძლება დიდს მანძილზედ გაიფანტონ მთელს ახალშენში და ინგლისელებს ყველგან ბრძოლა აუტეხონ. ამ საშუალებით ინგლისის მხედრობას იგინი ადვილად დასცარავენ და მეორეც, აფრიკანდერებს თითქმის ყველგან ააჯანყებენ. ერთია მხოლოდ საკვირველი, ამოდენა ჯარი უცბად საიდგან გაიჩინეს ბურებმა. როდესაც აღიარებული, რობერტსიდგან დევეტმა პირი იბრუნა, ყველას ასე ეგონა, რომ რესპუბლიკის სამხრეთს ნაწილში სულ ერთი ბეწვა ჯარი დაათ. აქედგან, მაშასადამე, აშკარად სჩანს, რომ ლორდს კიტჩენერს ფიქრადაც არ მოჰსვლია დაწვრილებით შეეტყო დამორჩილებულს (?) ადგილებში

## ფელეტონი

—

### დიდების მაძიებელნი

(შარლ ეფეირისა)

მშვენიერი დილა იყო. ლიონელმა გამოიღვიძა და ძალიან ცუდად იგრძნო თავი. არ იცოდა, რა აწუხებდა. სადარდელი არაფერი ჰქონდა, მისი ცხოვრებაც ისეთივე ულრუბლო იყო, როგორც ამ დილის წმინდა და ნათელი ცა.

ავად ხომ არ არის? არა. მაჯა ზომიერად უცემს. ადგა, სარკეში ჩაიხედა და დარწმუნდა, რომ სრულიად კარგადაა. ტანთ იცვამდა და ბედსა სწყევლიდა. უცნაურია! დეე, საწყალმა და უბედურმა სწყევლოს თავისი ბედი, თორემ ეს ხომ ბედნიერია. ყველაფერი უღიმის, ყველაფერი მის საკეთილ-დღეოდ ეწყობა. საკმაო ქონება აქვა, უეჭველი და ყველასაგან ცნობილი ნიჭი: მისი პიესა ამ დღეებში Comèdie Française-ში წარმოადგინეს; ბევრი ერთგული მეგობარი ჰყავს და სრულიად ჯან-მრთელია. მეტი რაღა უნდა? შევიდა თავისს სამუშაო ოთახში, გახსნა წერილები და გაშალა გაზეთი. გაზეთის წაკითხვამ დიდად ასიამოვნა, მაგრამ მხოლოდ ერთის წამით. გაზეთში მის პიესას შეეხებოდნენ, წერილის ავტორი აღტაცებულის კილოთი აქებდა მის პიესას, მხოლოდ ორიოდე შენიშვნას აძლევდა, რომელიც არამც თუ არ ამცირებდა ლიონელს, არამედ უფრო აშკარასა ჰყოფდა ქება-დიდებას. ჯერ ლიონელი სრულიად შეიპყრო აღტაცებულმა ქება-დიდებამ, მაგრამ შემდეგ კრიტიკულმა შენიშვნებმა რაღაც დარდები მოჰგვარა. მიაგდო გაზეთი და, ჩაფიქრებულმა, ოთახში სიარული დაიწყო. შეიხედა თავისს წიგნთ-საცავში: აი რენიარის დრამატიული ნაწარმოებნი, კალდერონის თხზულებანი, Comèdie Française-ს რეპერტუარი, „კიროსი“ — ქ-ნ დე-სკუდერისა... უცებ გული შეუწუხდა. სასაფლაოს რეკვასავით მწუხარედ გაურბინა თავში ერთმა აზრმა, რომელიც გამოითქმის მოკლე სიტყვით: „რისთვის“? ლიონელი კვლავ დაჯდა, ისევ აიღო გაზეთი და წაკითხვას აპირებდა, მაგრამ ასოები მის თვალ-წინ გაურჩევლადა ჰხტოდნენ; რაღაც უიმედობის გრძნობამ შეიპყრო.

— როგორ! ორი წელიწადი ვწერდი ჩემს პიესას, ეხლა იგი პარიჟის საუკეთესო სცენაზედ დადგმულია; მან შემძინა პატივი, ფულები და მე არავითარს სიხარულს არა ვგრძნობ? მცირეოდენი სიამაყეც ვერ მიგრძვნია? ეს სისულელეა, მაგრამ არა, სრულიად კანონიერია. ქვეყანაჰ ჯერ კიდევ იცის ჩემის პიესის სახელი; მაგრამ ამისთანა პიესებს, როგორიც ჩემია, წელიწადში ათსა სდგამენ და მეორე წელშივე არავის ახსოვს. 25 წლის შემდეგ ეს პიესები მხოლოდ მეცნიერებს თუ გაახსენდებათ. რაც უნდა იყოს, არც ისეთი უგუნური ვარ, რომ ვერ გავიგო, რომ მე არც მოლიერი ვარ და არც შექსპირი. ჩემი პიესა არც ისეთი შესანიშნავია, და დიულოკმ ც სწორედ შენიშნა მისი ნაკლულევანებანი. დასწერო ერთი ცოცხალი სცენა და გააჴრელო პიესა რამდენიმე მარივოსის სიტყვით, — ამით ვერ გაექცევი იმ საყოველთაო გაქრობას, რომელიც მთელს ეხლანდელს ლიტერატურას მოელის. ჰოი, ჰოი, ამაო-ამაოთა!

ვიღაცამ დარეკა. ეს იყო ძველ წიგნების ვაჭარი. მან მოიტანა რაღაც გახვეული პაკეთი. ლიონელი აგროვებდა მე-XVIII საუკუნის დასურათებულ გამოცემათა კოლექციებს, რომლებშიაც გამოყვანილი იყო ფრაგონარისა, ბუშესი, მარილიეს და ეიზენის გრავიურები. ამ ხელად მოხუცებულმა სოლომონმა ფრიად ძვირფასი და იშვიათი წიგნი მოიტანა. ლიონელმა აიღო წიგნი ხელში, დაჰხედა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, შემდეგ მძიმედ ამოიხვნეშა და სრულიად გულ-ცივად დასდო წიგნი თავისის წიგნთ-საცავის ერთს თაროზედ.

— ჰო, სოლომონ, თქვენ არ აგროვებთ კოლექციებს განა? და გონიერადაც იქცევით, ვინაიდგან ეს სულელთა ხელობაა. ოჰ, ბრძენი ხართ! ერთი შვიდ ბრძენთაგანი. იცით, რა გასართობს შეადგენს ეს საქმე? აგროვებენ, აგროვებენ, ვიდრე კოლექცია არ შეივსება, და რამწამს შესრულდება, კოლექცია შეგროვდება, ყოველივე კმაყოფილება იკარგება...

მაგრამ სოლომონზედ ვერ იმოქმედა ამ ფსიხოლოგიურმა მსჯელობამ. მან ძალ-დატანებულად გაიღიმა, ფრთხილად დასდო სტოლზედ ადრევე დამზადებული ანგარიში და ოთახიდგან გავიდა.

სოლომონის გასვლის შემდეგ ლიონელმა კვლავ აიღო გაზეთი. სევდამ თან და თან შეიპყრო. — საპარლამენტო სჯა-ბაასი! — ხმა-მაღლა წამოიძახა მან. სულელები! კამათობენ, ფუსფუსებენ! მაგრამ რისთვის უნდათ ეს ყველაფერი, ღმერთო დიდებულო? განა იმათ შეუძლიანთ სიღარიბე მოსპონ, უბედურება შეამსუბუქონ, ტანჯულს ცრემლი მოსწმინდონ? ქალაქის სტატისტიკა! სიცრუეა! დაიბადა 1,147 კაცი, გარდაიცვალა 1,148. თუ ეს ასეა და იმდენივე კაცი კვდება, რამდენიც იბადება, მაშ რად აცოცხლებენ ერთსა და სიკვდილით სჯიან მეორესა? ჰო, ეს ალბად იმიტომ, რომ ცხოვრების მეჯლისზედ ყველას ადგილი ჰქონდეს... მკვდარი დაბადებულა — 150. გაჩენა იმისათვის, რომ იქვე გაჰქრეს! შესაბრალისი კომედიაა. სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს.

ოთახის კარი გაიღო. როდოლფი საუზმეზედ იწვევს. კაი ყმაწვილია ეს როდოლფი, მაგრამ ისეთი გატაცებული მონადირეა, რომ ნადირობას გარდა სხვა არაფრის ფიქრი არ შეუძლიან. ლიონელმა ძალაუნებურად უნდა მოისმინოს მისის ვაჟკაცობის გრძელი ამბავი.

— სამის დღის წინად, ამბობდა როდოლფი: მორლაქისას ვიყავი... შენ იცნობ აი იმას, რომელსაც ეკუთვნის დიდი ფერმა კოგპიენის ახლოს. უჰ! რამდენი ნადირია იქ! მე მარტომ მოვკალი ოცი ხოხობი, ოთხი კურდღელი და ხუთი... ჩემი მირზა ჩინებული რამ იყო. აი, შენ თითონ ნახავ ნადირობის დროს, უმცროსი რეგალი იქვე მაძლევდა იმაში ას თუმანს. მე დავცალე თოფი და ლობესთან დავდექი. გავიხედე — ცუღლუტი კურდღელი არხეინად მირბის მინდორზედ. იქექა ჩემმა თოფმა და კურდღელი ყირამალა გადატრი-

მტერი რა მდგომარეობაშია და რა სიფრთხილე იყო საჭირო.

— „Westminster gazette"-ში დევეტის მდევნელ რაზმშ, მეოფ ჯარის კაცის შემდეგი კერძო წერილი დაბეჭდა:

„ჩვენი სამი თავისუფალი მეომარი მტრის დასაზვერად იყო გაგზავნილი; ბურებმა ტყვეთ წაიყვანეს და თავისს გენერალს თურმე წარუდგინეს. დევეტმა მცირე ფიქრის შემდეგ ინგლისელს ჯარის-კაცებს პირობა თურმე მისცა, გაგანთავისუფლებთ, თუ რომ ჩემს მდევნელს ინგლისელს გენერალს რონდლს წერილს მიმირთმევთო. ტყვეები სიამოვნებით თურმე დასთანხმდნენ. დევეტმა უბრძანა თურმე მაშინვე, რომ კარგა ლამაზად ეჭმევინათ და ისე გაეშვათ. ინგლისელმა ჯარის კაცებმა სიტყვა შეასრულეს და ბარათი, დანიშნულებისამებრ, გენერალს რონდლს გადასცეს. დევეტი თურმე სწერდა რონდლს: „დიდად პატივცემულო გენერალო, გთხოვთ ეს საცოდავი სამი ახალგაზრდა ისევე უკან მიიღოთ. ინგლისელს ტყვეებს როცა-კი მოვისურვებ, მუდამ წავიყვან. თქვენი დევეტი". აი, სწორედ გულ-კეთილობა და ყელის გამოჭრაც ამასა ჰქვიან. მოდით და ამის შემდეგ ინგლისელთა თავ-მოყვარეობასა და მხნეობაზედ ილაპარაკეთ.

## ბიბლიოგრაფია.

Dr. N. Reichesberg: Die Arbeiterfrage einst und jetzt, Leipzig 1897 წ.

ნ. რაიხესბერგი: მუშათა კითხვა უწინდელ და ახლანდელ დროში, თარგმანი ევგენია სოლორაშვილისა. ბათომი 1900 წ.

ნ. რაიჰესბერგი: მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში, თარგმანი თ. კიკვაძისა. ბათომი 1900 წ.

(დასასრული *)

ახლა ვნახოთ, როგორის ქართულის ენით სთარგმნის ბ-ნი თ. კიკვაძე და როგორა ჰხსნის იგი უცხო სიტყვებს.

ჯერ ენის ნიმუშები. ბ-ნი თ. კიკვაძე სწერს: „რამეის გაკეთება" (გვ. 7), ხეის მოჭრა, მზეის დაბნელება, კიკვაძეის თარგმანი, მეფეის ბრძანება — კარგი ქართულია, განა?

„მეცნიერების მიმდევართ, სამწუხაროთ, ძალიან იშვიათად უსარგებლიათ შემთხვევით, რომ მიეთითებიათ თანამედროვე მუშათა კითხვის გაჩენისათვის, ამ დიდათ საგულისხმო გარემოებაზედ" (გვ. 9). როგორ მოგწონთ ეს წინადადება და განსაკუთრებით „მეცნიერების მიმდევრები"?

„სუელ მონათა ინსტიტუტის გავრცელების შემდეგ გარემოება სულ შეიცვალა" (გვ. 14). „სუელ მონათა ინსტიტუტი" სწორედ მშვენიერია!

„პირველ საუკუნოებში შეიძლება შეგვხვდეთ"... (გვ. 17). საუკუნო არის вѣчный, ewig, éternel, საუკუნე კი — столѣтie, fahrhundert, siécle. სიტყვა საუკუნო ზედ შესრულდა, საუკუნე კი — სახელი არსებითი. ნუ თუ მართლა ვერ არჩევს ამას ბ-ნი თ. კიკვაძე?

გვერდი 15: „მარა მაინც უთვალავს ის შეხედულობა ბატონობდა, რომ მონა არის ნივთი, რომელიც მთლად და ერთიანად იმყოფებოდა (!) მესაკუთრის უსაზღვრო უფლებაში". რას იტყვით, სწორედაა აქ ზმნების ფორმები ნახმარი?

გვერდი 24: „ღრმათ დარწმუნებული იყო (მონობის) ინსტიტუტის სამართლეში... მის სამართლეშიაც არავის შეჰქონდა ეჭვი". სამართლეში თუ სამართლიანობაში? იქვე: „ეს ადამიანი ამბობდა ხან და ხან მონაში უწყალო (!) მოპყრობის წინაამდეგ". ნეტა უღვინო მოპყრობა როგორიღაა? მართალია, გურიაში გაიგონებთ „უწყალო მოპყრობაო", მაგრამ განა ეს საბუთია მწერლობაში სახმარადაც? ცხადია, ბ-ნი თ. კიკვაძეს უნდა ეთქვა ან „უმოწყალო", ან „შეუბრალებელი".

კლიენტები იყვნენ თურმე „ისეთი პირნი, რომელნიც მდიდარი რომაელების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ" (გვ. 29). განა ქართულია ეს?

„ქალაქში ცხოვრებას სულ სხვა კმაყოფილება ჰქონდა, ვინემ სოფელში" (გვ. 41). როგორც ჰხედავთ, ცხოვრებას კმაყოფილება აქვს თურმე.

ცხოვრების კმაყოფილებაზედ ლაპარაკს ემჯობინებოდა, ბ-ნი თ. კიკვაძე სცდილიყო, მის ნაწერში ქართულ გრამმატიკას ჰქონოდა „კმაყოფილება". ასეთის ფრაზით: „გლეხები, რომელიც დამოკიდებულ მდგომარეობას თვლიდნენ", ქართული გრამმატიკა ძალიან უკმაყოფილოა.

ერთის სიტყვით, ასეთის გრამმატიკულ შეცდომებითა და დამტვრეულის სტილის ნიმუშებით სავსეა ბ-ნი თ. კიკვაძის თარგმანი. ყველა იმათი აღნუსხვა აქ მოსაწყენიც იქნება და უმნიშვნელოც, აი თითოდე კიდევ, რომლებსაც საალაბედოდ წავკარით ხელი.

გვერდი 42: „ასე იწყება მრავალ ხნიანი ბრძოლა ქალაქებსა და ფეოდალებს შორის". ან და გასინჯეთ სტილის მხრივ შემდეგი წინადადება: „წინეთ, თუმცა სულაც არ ყოფილა განსაზღვრული სწავლის სავალდებულო ვადა, მარა ახლა ყველგან შემოდიოდა ის იმ ცხადათ გამოხატული აზრით, რომ რაც შეიძლება გაეხანგრძლივებიათ სწავლების დრო". არა მგონია, ამაზედ უფრო უშნოდ შეიძლებოდეს აზრის გამოხატვა.

დასასრულ შემდეგი მარგალიტიც მოვიხსენიოთ: „მისწრაფებანი... მუშათა მოძრაობის... რომ კარგათ გავსინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ ის არა შემთხვევაში არ წარმოადგენს ჭკერში მოსიარულე იდეალს" (გვ. 65). განა ნამდვილი სტილისტიური მარგალიტი არ არის ეს „ჭკერში მოსიარულე იდეალი?" თუ რომ კარგად და დაკვირვებით გასინჯავს საჭირო იმის გასაგებად, რომ მუშათა იდეალი ჭკერში არ დაბრაგუნობს!

ვიკმაროთ ეს ნიმუშები ბ-ნი თ. კიკვაძის თარგმანის ენის დასათვასებლად. როგორც ზევით ვთქვით, უთველი მთარგმნელის უპირველესი მოვალეობაა ავტორის აზრის სისწორით გარდმოცემა. ეს მოვალეობა, როგორც დავამტკიცეთ, ბ-ნმა თ. კიკვაძემ ვერ შეასრულა. მეორე მთავარი მოვალეობა მთარგმნელისა ის არის, რომ დედანის აზრი გრამმატიკულად კანონიერი და სტილისტურად ლამაზის ენით გარდმოგვცეს. ზემოდ ნაჩვენების მაგალითებით დავრწმუნდით, რომ ბ-ნ თ. კიკვაძეს ეს მოვალეობაც ვერ შეუსრულებია თავისს თარგმანში.

ბ-ნ თ. კიკვაძეს საჭიროდ დაუნახავს — და საფუძვლიანადაც — იმ უცხო სიტყვების ცალკე განმარტება, რომლების ხმარება თარგმნის დროს აუცილებელი გამხდარა, და შენიშვნებში მოუქცევია ასეთის სიტყვების ახსნა. ეს მართლაც სასარგებლო იქნებოდა მდაბიო მკითხველისთვის, რომ მას სიტყვების განმარტება ყველგან სისწორით მოეხერხებინა. საუბედუროდ, ბ-ნი თ. კიკვაძე აქაც ჰკოჭლობს.

იგი გვასწავლის, მაგალითად, (გვ 16), ობიექტი საგანი არისო. განა ეს ახსნაა? საგანი ყველაფერია, და როგორ უნდა გაიგოს მკითხველმა, რადა ჰქვიან საგანს ზედ მეტი სახელი — ობიექტი. წარმოდგენის, შემეცნების, შეგნების საგანს ჰქვია — ობიექტი. თითონ წარმომდგენელი, შემგნებელი, შემეცნებელი სუბიექტი არის. ამ დაპირდაპირებაში არის თავი საქმე.

„თეორეტიული" (უნდა იყოს: თეორიული) თურმე განყენებულს ჰქვიან (გვ. 17). მაშასადამე, თეორია განყენება, აბსტრაქცია ყოფილა. ეს მართალიც არის და არც არის მართალი. უფრო არაა მართალი. ქ-ნ ე. სოღორაშვილის ახსნით თეორია არის „მეცნიერული შეგნება, ერთი რამე კითხვის ან მთელი მეცნიერების სისტემატიურად გარკვევა — აწყობა". ჩემის აზრით, ეს განმარტება მართალია და, ვფიქრობ, მკითხველის აზრითაც.

სიტყვა „მანუფაქტურას" ასე განმარტავს ბ-ნი თ. კიკვაძე (გვ. 58—59): „საწარმოვო საშვალებათა პატრონი, კაპიტალისტი, ქირაობდა სხვა-და-სხვა ხელობის მოხელეებს და ამზადებინებდა თავის სახელოსნოში (ხაზ გასმული ჩვენია) თითეულს მათგანს იმ მოსამზადებელ ნივთების ნაწილებს, რომლის(!) გაკეთებაშიაც უფრო დახელოვნებული იყო ხელოსანი... ასეთს წარმოებას .. ეწოდება მანუფაქტურა". მართალია, ასეთს წარმოებას მანუფაქტურა ეწოდება, მაგრამ არა მარტო ასეთს წარმოებას. მანუფაქტურულ წარმოების დროს კაპიტალისტი ან ერთს სადგომში აგროვებდა ხელოსნებს, როგორც ეს ბ-ნმა თ. კიკვაძემ მოგვითხრო, და მის მიერ მიცემულ მასალებს გადაამუშავებინებდა, და ან ის მხოლოდ მასალებს მისცემდა, ხელოსნები-კი თავიანთ სახლებში, ან სახელოსნოებში ჰმუშაობდნენ. ამ სახით მანუფაქტურას ორი ფორმა ჰქონდა. პირველი ფორმაა შეჯგუფული მანუფაქტურა (centralisiert), მეორე გაფანტული, დაქსაქსული მანუფაქტურა (decentralisiert). და ეს უნდა აეხსნა ბ-ნ თ. კიკვაძეს.

ქვევით იგი განაგრძობს: „შრომის დანაწილებამ პირველად აქ (ე. ი. მანუფაქტურაში) იჩინა თავი და შემდეგ წარმოების განვითარებით უმაღლეს წერტილამდე განვითარდა". ეს-კი სრული შეცდომაა. შრომის დანაწილებამ მანუფაქტურაზედ ბევრად უფრო ადრე „იჩინა თავი". ძველად გლეხის ოჯახი ხნა-თესვასაც მისდევდა და თავისთვის სამრეწველო ნაწარმოებებსაც იმზადებდა. შემდეგ წარმოსდგნენ ხელოსნები, რომლებიც უმთავრესად მრეწველობას მისდევდნენ, გლეხი კი უმთავრესად მხვნელ-მთესველად დარჩა. განა ეს ხალხში შრომის დანაწილებას არ ნიშნავდა? პირველად მჭედელი აკეთებდა სახნისს, თოხს, ლურსმანს, ნალს, დანას. შემდეგ მჭედლის მოქმედება გაიყო და წარმოსდგნენ ჩვეულებრივის მჭედლის გვერდით მედურსმეები, ნალბანდები, ზეინკლები. განა ეს შრომის დანაწილება არ იყო? მანუფაქტურამ ამ დანაწილებულს შრომას ხასჭიდა ხელი და კიდევ უფრო დაანაწილა იგი. მანუფაქტურის დროს შრომა ერთსა და იმავე სახელოსნოშიაც დანაწილდა. შრომის დანაწილება წარმოების სახელოსნოში და შრომის დანაწილება საზოგადოდ წარმოებაში, — ეს სულ სხვა-და-სხვაა.

პროლეტარი არის „ბოგანო, ყოვლივე (?) საკუთრებას მოკლებული ადამიანიო, გვეუბნება ბ-ნი თ. კიკვაძე (გვ. 66). არ ვიცი, სად ჰნახა მან ისეთი ადამიანი, რომელსაც არავითარი

*) იხ. „ივერია" № 272.

---

ალდა. ძლივს მოვასწარი კურდღელის მოკვლა, რომ ჩემ ზურგთან ხოხობი აფრინდა. ვესროლე თოფი და ხოხობი ტრიალ-ტრიალით წამოვიდა და მოკლულ კურდღელთანვე დაეცა. სასაცილოა განა?

— მერე, ეგ გართობს?

— მაშ! სიცოცხლეა, სცოცხლე!

ლიონელმა მხრები შეიჩმუჩნა.

— ყური დამიგდე, ძვირფასო როდოლფ, და მითხარ, როდისა ჰგრძნობ კმაყოფილებას? ნადირის მოკვლამდე, თუ მერე? ვთქვათ, ხოხობს უმიზნებ; თოფის გასროლაში ჰგრძნობ სიტკბოებას? შეიძლება; მაგრამ ეს ნაპერწკალი წამსავე გაჰქრება. ჩახმახს გამოსწევ თუ არა, საბრალო ფრინველი უკვე მიწაზედა ჰგდია. არა, მითხარი, თუ ღმერთი გრწამს, რა გართობს ნეტავი? ის, რომ ჰხედავ, როგორ ეცემა ჩიტი, თუ ის, როდესაც დასწვდები და აიღებ. როცა ჩიტი დაეცემა, ხომ ყოველი ინტერესი ეკარგება? მაშასადამე, შენ მოგწონს მხოლოდ ნადირის უკან დევნა. გასიამოვნებს მხოლოდ კვლა, სიცოცხლის მოსპობა. რისთვის? რა აზრი გაქვს? შენ ხომ არ ვაჭრობ შენის ნადირითა და ნადირობა უფრო ძვირად გიჯდება, ვიდრე ის, რომ ბაზარში იყიდო. რადა? რისთვის? ვერ გამიგია.

როდოლფმა გაიღიმა.

— მორლაჟმა დამავალა, მიგიწვიო ზეჯისათვის. ჩინებული ნადირობა გაიჩაღება. თავისს დღეში ვერ ნახავ იმდენს ნადირსა.

— არასოდეს! არაფრის გულისათვის.

ლიონელი კვლავ არწმუნებდა როდოლფს, ნადირობა სისულელეა, ბარბაროსული ჩვეულებააო. მაგრამ როდოლფი მას ყურს არ უგდებდა. ამ ლაპარაკის დროს იმას თვალ-წინ ეხატებოდა კომპიენის მიყრუებული კუთხეები, კურდღელთა ხტუნაობა და დამფრთხალ ხოხობთა ფთხრიალი.

ნაშუადღევის პირველი საათი იყო, როდესაც მეგობრები განშორდნენ ერთმანეთს. ლიონელს უცებ მოაგონდა თავისი მეგობარი ქალი, ლაურა დე-შოლმი, რომელიც კაი ხანია არ ენახა.

ლაურა ახალგაზდა, ლამაზი და მდიდარი ქვრივი იყო, არც ანჩხლი და არც მეტად იჭვიანი. როცა ლიონელი, კარგა ხნის შემდეგ, მოულოდნელად ეწვეოდა ქვრივს, ლაურა ყოველთვის სიყვარულით და კეკლუცად უხდებოდა თავისს მეგობარს და არას ეყვედრიდა. ეს გულგრილობა როდი იყო: მისი ბრწყინვალე თვალები და ღიმილი მჯერ მეტყველად ამტკიცებდა იმას, რომ ლიონელის ნახვა ყოველთვის ასიამოვნებდა ლაურას. დაღალული ლიონელი ხშირად ჰპოულობდა სულის სიმშვიდეს ქ-ნ დე-შოლმის ფერხთა ქვეშ. „დიახ, მოხუცებული ფაუსტი მართალს ამბობდა, რომ სიყვარული ერთად ერთი საუნჯეაო, ხოლო სხვა ყოველივე — პატივისმოყვარეობა, ცოდნა, სიმდიდრე, დაფნის გვირგვინი — ქალის ღიმილად არა ჰღირსო". ასე ამბობდა ოდესღაც ლიონელი, მაგრამ ახლა ლამაზის ქალის სიყვარული უკვე წარსულ რამედ ეჩვენებოდა. როგორ, ხელ-ახლად დაიწყოს ძველი სიმღერა! განიმეოროს ის სიტყვები, რომელსაც ათასის წლის განმავლობაში მილიონი შეყვარებულნი ეუბნებოდნენ ერთმანეთს! ამასთან კიდევ ატყუოს თავისი თავი: უჩვენოს თავი შეყვარებულად, როდესაც არაფერსა ჰგრძნობს, გულში დასცინის ყოველს ასეთს სიტყვასა და მოქმედებას!

სამწუხაროა, როცა თავის თავს უნდა დასცინო! რა მოხელეა ეს ცრემლები, ეს ღიმილი, ეს კვნესა და მუხამბაზები? რა მოხელეა, თუ ყველა ეს წრაფად გაჰქრება?

ხმა ამოუღებლივ იჯდა ამ უნუგეშო ფიქრებში გართული ლიონელი.

— აბა, ჩემო კარგოო, ჰკითხა ლაურამ, როგორ გავატაროთ დღევანდელი დღე?

— არ ვიცი სწორედ, როგორც გენებოს.

— ბულონის ტყეში გასეირნებისას რას იტყვი?

ლიონელმა მძიმედ ამოიხვნეშა და არა უთქვამს-რა. ლაურა ადგა.

— ჰო, მართლა, არ გიყვარს ბულონის ტყე. აი, რას გეტყვი: უფრო მარტოობა მოგწონთ, სოფელი, ხშირი ტყეები, მაშ წავიდეთ ფონტენებლოში. თქვენც თავისუფალი ხართ და მეც. დღეს მშვენიერი დღეა. გავუაროთ კლდეებსა და უზარმაზარს მუხნარს სადილი ვჭამოთ ბარბიზონში, სტუდენტურად, როგორც შეყვარებულებმა. საუცხოვო რამ იქნება.

ლიონელი დაიღმიჭა. ამ მგზავრობის ფიქრიც კი ჰღლავდა.

— ლაურა, სჯობს ისევ აქ დავრჩეთ. რად გინდა ეს მუდმივი გადასვლ-გადმოსვლა, ეს მოუსვენარი ტრიალი რკინის გზის ერთის სადგურიდგან მეორეზედ, სასტუმროდგან სასტუმრომდე, ეტლიდგან ეტლამდე? მე შენ სანახავად მოვედი, თორემ ბარბიზონისა და ფრანშარის მუხები სულაც არ მაინტერესებს. განა ათასჯერ არ მინახავს ესენი? რად განვიმეოროთ ერთი და იგივე სურათები?

ლაურამ შეუნიშნავად ამოიხვნეშა. ლიონელთან ერთად ფონტენებლოში გასეირნება დიდ სასიამოვნოდ მიაჩნდა, მით უფრო, რომ დღეს მოუტანეს ახალი, მის გემოზედ შეკერილი ტანისამოსი და მერე ეს მხიარული მზე, ჩრდილოვანი ხეები, ბარბიზონის სასტუმროები... ერთხელ კიდევ მძიმედ ამოისუნთქა, მაგრამ ლიონელმა ყურადღებაც არ მიაქცია. იგი სცდილობდა სხვა საგანზედ ემუსაიფა, მაგრამ მისდა უნებურად, იგივე აზრი, რომელიც ფრანშარის მუხების შესახებ წარმოსთქვა, ლაურის შესახებაც უტრიალებდა თავში.

ხანგრძლივ სიჩუმე ჩამდგა. ბოლოს ლიონელმა შენიშნა, რომ იგი სიყვარულის გუნებაზედ არ იყო, და წამოდგა.

— უკაცრავად, ლაურა. დღეს რაღაც შეუძლოდა ვარ, ყველაფერი შავ-ბნელად მეჩვენება, ე. ი. ყველაფერს ისე ვხედავ, როგორც ნამდვილად არის, და ჩემს უბედურებასაც სწორედ ეს შეადგენს.

მან გრძნობით ჩამოართვა ლაურას ხელი და გავიდა, არც-კი შეუნიშნავს, რომ ქალის თვალზედ ცრემლი მოადგა.

მ. გ.—ია

(დასასრული იქნება)

საკუთრება არა ჰქონდეს. მთელს დედამიწაზედ არ მოიპოვება ასეთი ადამიანი. პროლეტარს რაიმე საკუთრება უეჭველად აქვს (მაგალ. ტანისამოსი, ლოგინი და სხვა და სხვა).

იმავე გვერდზე ასე მეცნიერულად გვასწავლის ბ-ნი თ. კიკვაძე: „კაპიტალისტურ წარმოებაში უმთავრესი საშუალება არსებობისა ფულია“. არსებობის უმთავრესი საშუალება პური გახლავთ და არა ფული. ფული ნაწარმოებების გაცვლის „უმთავრესი საშუალება“ არის.

ერთი შენიშვნა კიდევ და — მოვრჩებით. იმავე გვერდზედ ბ-ნი თ. კიკვაძე მოგვითხრობს წვრილის მწარმოებლების გაქრობის შესახებ და ასეთის სიტყვებით: „წვრილი მწარმოებელნი... ვერ უძლებენ მსხვილი წარმოების კონკურენციას, მეტოქეობას და, როგორც მწარმოებელნი, ქრებიან“. ეს აზრი სრულიად შემცდარია. ავიღოთ მაგალითი. ხელოსანს ფეიქარს აპროლეტარებს საქსოვი ფაბრიკა, — ეს ცხადია. ფეიქარს აღარ შეუძლიან წინანდებურად თავისს სახელოსნოში ქსოვა, რადგან მისი ნაწარმოები ფაბრიკისას კონკურენციას ვერ უწევს. რასა ჰშვრება ფეიქარი? მეტი რა გზა აქვს, იგი მოქირავე მუშა ხდება, — მიდის ფაბრიკაში და დღიურს ქირაზედ ჰმუშაობს. მერე განა ამით ფეიქარი ვითარცა მწარმოებელი ჰქრება? განა ის არა ჰმუშაობს ფაბრიკაში, არ აწარმოებს? რა თქმა უნდა, აწარმოებს. ფეიქარი, ვითარცა მწარმოებელი, სრულიადაც არ გამქრალა. გაჰქრა მხოლოდ ფეიქარი, ვითარცა თავისუფალი, დამოუკიდებელი მწარმოებელი. ეს სულ სხვაა.

ამით ვათავებთ რაიხესბერგის წიგნაკის გამო ლაპარაკს. იქნება მკითხველს გაუკვირდეს, რომ ბ-ნ თ. კიკვაძის თარგმანის შესახებ ამდენი ვილაპარაკეთ ხოლო ქ-ნ ე. სოლოღაშვილისაზედ-კი თითქმის არა გვითქვამს-რა. ამისი მიზეზი სულ მარტივია, ქ-ნ ე. ს—შვილის თარგმანში ჩვენ ვერა ვიპოვეთ რა ისეთი, რის გამოც კამათის კამართვა ღირდეს. თარგმანი საუცხოვოდ ეთანხმება დედანს, ავტორის აზრი ყოველთვის სისწორით არის გარდმოცემული, ენაც გვარიანია, — ყოველ შემთხვევაში ბ-ნ თ. კიკვაძისას ბევრად სჯობია. აქა-იქ შეგვხვდა კორექტურული შეცდომები, მაგრამ მაგეების სალაპარაკო საგნად გახდა, რასაკვირველია, არა ჰღირს. აღვნიშნოთ მაინც სიტყვების ახსნაში სწერია: „ინდივიდუალისტი — ინდივიდუალიზმზედ აგებული“. ცხადია, უნდა იყოს: „ინდივიდუალისტური“ ნაცვლად „ინდივიდუალისტი“-სა. სიტყვა პრივილეგიის განმარტებას ერთ ადგილას „ან“ უნდა ჩაემატოს, თორემ ისე აზრი არ გამოდის. უნდა იყოს:... „უპირატესობა კერძო პირის ან მთელი საზოგადოებრივი კლასისა“. სწერია, საფრანგეთის დიდი რევოლიუცია 1781—1799 წწ. მოხდაო. უნდა გასწორდეს: 1789—1799 წწ. რომის სახელმწიფო 1476 წელს-კი არ დარღვეულა, როგორც ეს შეცდომით არის დაბეჭდილი, არამედ 476 წ. ცხადია, „1“ ამ რიცხვის წინ თარგმანში კორექტურული შეცდომაა. აგრეთვე უნდა გასწორდეს 33 გვერდზედაც ერთი შეცდომა, რომელიც მთელს წინადადებას აზრს უკარგავს. სწერია: „ვითარცა თემის წარმომადგენელს“. როგორც დედანთან შედარებიდგან სჩანს, ეს ასე უნდა გასწორდეს: ვითარცა თემის წარმომადგენელის—“.
მაგრამ ყველა ეს წვრილმანებია. საზოგადოდ ქ-ნ ეკ. სოლოღაშვილის თარგმანზედ ქების მეტის არაფრის თქმა არ შეგვიძლიან. იქ დართული უცხო სიტყვების ახსნაც საფუძვლიანად არის შედგენილი. ვისურვებთ, რომ ამ პატივცემულს მანდილოსანს კიდევ ბევრი სასარგებლო წიგნები გადმოეთარგმნოს ასე კარგად ქართულს ენაზედ.

Georgiano.

## სასამართლოს მატიანე

არჩილ აიცურაძის საქმე.

სამშაბათს, 19 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ახალციხის მაზრის სოფელ სოფიოს მცხოვრების გლეხის არჩილ აიცურაძისა, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ 1899 წლის 12 აპრილს, როდესაც მის მამას შემოხვდნენ ძმები და ეჩხუბებოდნენ ყანის მიზეზით ატეხილ დავისა გამო და კიდეც დაეჭრათ იარაღით, ჩაერია ჩხუბში, აიღო ნაჩახი და დაჰკრა თავის ბიძას პეტრე აიცურაძეს თავში, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა. პირველად ეს საქმე განუხილავს ტფილისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია, რომ აიცურაძეს ბიძა გულ-მოსულობის დროს, მაგრამ განზრახ მოუკლავსო, და გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და სამის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

უცნაური დასჯა სცოდნიათ ინდოეთში დამნაშავეებისა. ერთი ინგლისური გაზეთი გადმოგვცემს ამ გვარ სასჯელის ამბავს. ერთ ინდოელ მწყემსს, უყურადღებობისა გამო ძროხა გადასჩეხია ხრამში და მომკვდარა. ძროხა ინდოეთში სამღვთო ცხოველად ითვლება, ამის გამო ბრამინებმა ეს მწყემსი ჯერ ეკკლესიას განაშორეს, შემდეგ გადაუწყვიტეს, რომ ნახევარის წლის განმავლობაში მათხოვრობა გაეწია და სალოცავად ეარა სხვა-და-სხვა წმიდა ადგილებში. ამასთან მწყემსმა კისერზედ თოკი უნდა შემოივლოს და მოკლულის ძროხის კუდიც თან ატაროს მხრით. ნახევარის წლის შემდეგ მწყემსმა უნდა იბანაოს განგესის მდინარეში და ბოლოს დიდი ფული გადაიხადოს ბრამინების სასარგებლოდ. ამდენი წვა-დაგვა უნდა გამოსცადოს ინდოელმა მხოლოდ უცაბედ „დანაშაულობისათვის“.

* * *

როგორც ვუწყით, ჩინეთის იმპერატორი განკერძოებითა სცხოვრობს, იმისი დანახვა არავის არ შეუძლიან. თვით სასმელსა და საჭმელსაც საიდუმლოდ უმზადებენ იმპერატორს. ჩაი, მაგალითად, იმპერატორისათვის განსაკუთრებულ ბაღში მოჰყავთ. ეს ბაღი მაღალის გალავნითაა შემორტყმული და იქ შესვლა არავის არ შეუძლიან, არც კაცსა და არც ცხოველს. აუარებელი მოსამსახურენი დღე-ღამე თვალ-ყურს ადევნებენ ამ ბაღს. ჩაის ფოთლების მოკრეფა დავალებული აქვთ ახალგაზდა ქალებს, რომელთაც განსაკუთრებულ ამისათვის ირჩევენ. ფოთლების მოკრების დროს ამ ქალებს არ შეუძლიანთ სჭამონ არც თევზი, არც ნიორი და არც სხვა რამ ისეთი, რასაც სუნი უდის, რათა ჩაის ფოთლებს სურნელოვანება არ დაუკარგონ. ამ ქალებმა ამას გარდა დღეში სამჯერ უნდა იბანაონ. ფოთლების მოკრეფის დროს მათ უნდა ეცვათ თეთრი ტანისამოსი და გრძელი თეთრი ხელთათმანები.

* * *

ერთს უნგრელს, ვინმე ბელ-შეფერს ახალის სისტემის უმავთულო ტელეგრაფი გამოუგონია ამბობენ, ეს ტელეგრაფი ბევრადა სჯობია მარკონის ტელეგრაფსაო. ინგლისის ფოსტათა მთავარ გამგეობას ეს ტელეგრაფი ამას წინად უცდია და საშინლათ მოსწონებია. ინგლისის მთავრობას გარდაუწყვეტია, შემოიღოს შეფერის სისტემის უმავთულო ტელეგრაფი.

* * *

ჰერცოგ აბრუცკის, რომლის მეთაურობითაც ამას წინად განსაკუთრებული ექსპედიცია იყო ჩრდილოეთ პოლიარულ ქვეყნებში, აზრადა აქვს ხელმეორედ გაუდგეს ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ, მხოლოდ გემით კი არა, არამედ თვით-მოსიარულე ეტლით. პარიჟში ჰერცოგს უკვე შეუკვეთნია ისეთი ეტლი, რომელსაც ადვილად შეეძლება ყინულზედ სიარული.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 დეკემბერი

**კაპშტადტი.** პარასკევს ბრძანება იქმნა გამოცემული, რომ აფრიკანდერთა კაბინეტის უკანასკნელი წევრი ტიუნტერი გრაფრეინეტში წარმოთქმულ სარევოლიუციო სიტყვისა გამო დაეპატიმრებინათ.

**პეკინი.** სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ პირობების ნოტა ჩინელთა მთავრობამ მიიღო; ნოტის მიღების შესახებ ფორმალურს განცხადებას საგანგებო ელჩის ხელით ჰგზავნიან და ითხოვენ, რომ მოლაპარაკება დაუყოვნებლივ დაწყებულ იქმნეს და ომი შესწყვიტონ.

**შანხაი.** ლიხუნჩანგმა დეპეშით აცნობა შენს, რომ ჩინეთის მთავრობამ მასა და ცინს მინდობილობა მისცა სახელმწიფოთა ნოტის პირობებით დროებითს სამშვიდობო ხელშეკრულობას ხელი მოაწერონ.

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება, რომ ბრიტანელთა სიმაგრეები ველვეციაში, მახადადორპსა და ლეიტენბურგს შუა რკინის გზაზედ, გუშინ დილით ბურებმა დაიჭირეს, რომლის დროსაც 50 ინგლისელი მოჰკლეს და დასჭრეს და 200 ტყვედ წაიყვანესო. პოლკოვნიკი კიტჩენერი იუწყება, რომ იგი მტერს კვალ-და კვალ უკან მისდევს და ველვეციის უკან დაბრუნება ველფოსტიდგან მაშველებელს ჯარსა აქვს განზრახული.

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება, რომ კაპის ახალშენში საქმეთა მდგომარეობა ჯერ არაფრით არ შეცვლილა. ახალშენში გადასული აღმოსავლეთის რაზმი, როგორცა სჩანს, პატარ-პატარა რაზმებად დაყოფილა, ხოლო დასავლეთისა კარნარვონისაკენ მიდის, რომელსაც კვალ-და კვალ ტარნიკროფტი მისდევსო. ფრენჩა ვენტერსდორპი დაიჭირა. კლემენტსი იუწყება, რომ რუსტენბორგის გზაზედ წინაამდეგობა გამ წიესო. აღმოსავლეთისაკენ მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი პანის სადგურის მახლობლად აფეთქებულია; სტანდერტონის რკინის გზაზედ, ვაალის სადგურის მახლობლად, დღეს დილით ბურებმა მატარებელი დაიჭირეს. უაიტის რაზმი სენეკალში მოვიდა. ნოქსი და ბოისი დევეტს სამხრეთისაკენ გზას არ აძლევენ.

**კიევი.** მდინარე დნეპრი გაიყინა; 10 გრადუსი ყინვაა.

**ჩისტოპოლი.** 30 გრადუსი ყინვაა.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ სამხრესისაკენ გაქცეულს ჯარებს პეკინიდგან სამხრეთ დასავლეთით 160 კილომეტრის მანძილზედ ჩვენი ჯარები უკან მისდევდნენო; აქიდგან კი მთლად გაიფანტნენ და სამხრეთისაკენ გაიქცნენო. პაოტინფუდგან აღმოსავლეთით, ლინვანშენთან, გრიუბერის რაზმმა დიდ-ძალი სამხედრო იარაღი და სურსათი აღმოაჩინა, აღმოაჩინა აგრეთვე სწრაფად სასროლი ზარბაზნები, მაქსიმის სისტემის ზარბაზნები, თოფები, სათხრელი იარაღი, სატელეგრაფო მასალა და გამხმარი პური, რომელიც ლუტაიდგან გაქცეულს ჯარ დაეტოვებინა.

**პეკინი.** ჩინეთის რწმუნებულნი დიდად განცვიფრებულნი არიან, რომ სახელმწიფოთა საერთო ნოტის პირობების მიღებაზედ ბრძანება მიიღეს. ლიხუნგჩანგსა და ცინს იმედი არა ჰქონდათ, თუ ათს დღეზედ ადრე მთავრობას დაიყოლიებდნენ, რომ ნოტა მიეღოთ. როგორც იმპერატორის ბრძანებიდგანა სჩანს, რწმუნებულთ ნება ეძლევათ, რომ ნოტა სავსებით მიიღონ, მაგრამ უნდა ეცადნენ, კერძო პირობები უფრო შეღავათიანი იყოს, განსაკუთრებით-კი საელჩოთა დარაჯის განსაზღვრისა, მათის ბინადრობისა და რკინის გზებზედ განზრახულ სამხედრო სიმაგრეების შესახებ; დასასრულ, უნდა ეთხოვოს სახელმწიფოთ, რომ არსებული ჩინეთის სიმაგრეები არ იქმნეს დაქცეული და მხოლოდ დაიკეტოს, გაუქმდნენ. ლიხუნგჩანგი ცუდად არის; ვიდრე ახალი რწმუნებული დაინიშნებოდეს, უკეთესს ვერას მოიფიქრებდნენ გარდა იმისა, რომ მისი მინდობილებანი ცინს გადაეცეს. დღეს ლიხუნგჩანგი პალანკინით (ტრახტრევანით) ცინთან მიიყვანეს, რომელთანაც დიდხანს ჰქონდა რჩევა. ცინმა ისპანიის ელჩი მიწვია და სთხოვა ეცნობებინა დანარჩენ ელჩებისათვის, რომ იმპერატორისაგან ბრძანება მიიღეს სახელმწიფოთა საერთო ნოტას ხელი მოაწერონ, მაგრამ სურვილია იქვე გამოთქმული, რომ სამხედრო ექსპედიციები შეწყვეტილ იქმნესო.

**ბერლინი.** პრუსიის საადგილ-მამულო სააქციო ბანკის გირავნობის ფურცლების პატრონთა კრებამ ერთხმად დაავალა თავის წარმომადგენლებს, რომ ამ წლის 2 იანვრიდგან 1 აპრილამდე ხვედრი სარგებელი მთლად მისცენ ყველას, რადგანაც ბანკის საქმეებმა მოლოდინს გადააჭარბა და კარგად მიდის.

19 დეკემბერი

**პეტერბურგი.** „მართებლობის უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ გემი „ვალდე ტამატავი“ მე-13 მსროლელ რაზმის ეშელონითა და მე-4 საარტილერიო მსროლელ დივიზიონის პირველ ბატარეით 17 დეკემბერს საღამოთი იალტას მისულა, ხოლო 19 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, იგივე ჯარი ლივადიაში უმაღლესად იქმნა ნახულიო. ჯარების ნახვის შემდეგ ლივადიის ყაზარმებში ჯარის კაცთათვის სადილი იქმნა გამართული, რომელზედაც თვით ხელმწიფე იმპერატორმა ინება მიბრძანება. მისმა უდიდებულესობამ ჭიქით ხელში შემდეგის წარმოთქმა ინება: „ბედნიერი ვარ, ძმანო, რომ საძნელო ლაშქრობისა და შორის მგზავრობის შემდეგ აგრე მხნედა და ყოჩაღად გხედავთ; ვსვამ თქვენს სადღეგრძელოსა და ვისურვებ, რომ მე-13 მსროლელთა რაზმის სახელოვანი რკინასავით მაგარი მსროლელთა მეოთხე ბრიგადა და საარტილერიო დივიზიონის მეოთხე ბატარეა აჰყვავებულიყვნენ“. წასვლის დროს ხელმწიფე იმპერატორმა კვლავ ინება და ჰბრძანა: „ერთგულის ნამსახურისა და მხნეობისათვის ერთხელ კიდევა გმადლობთ, ძმანო; გისურვებთ სამშობლოში ჯანმრთელი დაბრუნებულიყოთ“. $1\frac{1}{2}$ საათზედ ლივადიის სასახლეში საუზმე იყო გამართული, რომელზედაც ეშელონის აფიცრები იქმნენ მიწვეულნი. 4 საათზედ მისი უდიდებულესობა იალტის ნავთ-სადგურში მიბრძანდა, სადაც გემი „ტამატავი“ იდგა ჯარითურთ. ხელმწიფე იმპერატორი გემზედ აბრძანდა დარაზმულ ჯარიდგან ფელდფებელებსა და უნტერ-ოფიცრებს სამხედრო ორდენის გამარჯვების ნიშნები თავისის საკუთარის ხელით დაურიგა.

**ლონდონი.** პეკინიდგან „Times“-ში გაგზავნილ დეპეშებით ნემეცების მოქმედებას ჩჟილში ძრიელ უჩივიან; ბრალიანისა და უბრალოს გაურჩევლად სასტიკმა დასჯამ, შევიწროებამ, ურიცხვმა უსარგებლო მხვერპლმა, მშვიდობიან ქალაქების დაჯარიმებამ და ადგილობრივ მოხელეთა პატივისცემის შერყევამ უკმაყოფილება და მღელვარება უფრო გაავრცელა, ვიდრე მოსპო. კორრესპონდენტს მოჰყავს ორი მაგალითი მოტყუებით ღალატისა და უდანაშაულო კაცთა შორის ძიებისა ნემეცების მხრივ. „ამითი ყველა უცხოელთ სახელი უტყდებათ, რადგანაც მათი მთავარ-სარდალი ვალდერზეეა, თუმცა არც ერთს ბრიტანელს ოფიცერს მისს სამხედრო საბჭოში ადგილი არა აქვსთ, — ამბობს კორრესპონდენტი“.

**პარიჟი.** კიუინიეს საქმის შესახებ გამოძიების შემდეგ სასამართლომ ის აზრი გამოსთქვა, რომ დამნაშავე დისციპლინის დარღვევისათვის სამსახურიდგან არ უნდა იქმნეს დათხოვნილიო. განაჩენი ოთხის ხმით არის დადგენილი ერთის წინააღმდეგ. მეორე მხრივ კიდევ ის ხმა ისმის, რომ ანდრემ განკარგულება მოახდინა კიუინიე 60 დღით ციხეში იჯდესო.

**პეკინი.** რადგანაც პეკინის მიდამოებსა და პეკინ-პაოტინფუს რკინის გზის ლიანდაგზედ ჯარებისა და „დიდის მუშტის“ რიცხვმა იმატა, გერმანელთა და ფრანგთა სადარაჯო სიმაგრენი გაძლიერებულ იქმნენ. პოლკოვნიკს გილიოს, რომელსაც მხოლოდ 500 კაცი ჰყავს, ცინდინფუს მახლობლად რამდენიმე ათასი ჩინელი ჯარი თავ-დასხმას უპირებს. გენერალი ბალიუ საშველად წავიდა.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

21 დეკემბერი:

დავით მაჩიტაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1 ლ ნაწილის მე 347 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად;

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Декабря 1900 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე